



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

თარიღი: 06 სექტემბერი, 2022

სხდომის დაწყების დრო: 18:30

ადგილმდებარეობა: ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ია გაბედავა, რაისა ლიპარტელიანი, ციცილო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ლაშა კაპანაძის, თორნიკე ცივაძის, ნინო მზარეულიშვილის, თამარ გულხადარაშვილის, ნინო ერაძის, ზაზა შველიძის, მარიამ დურგლიშვილის, ნინო ქოჩიაშვილის, თეონა ლორიას, მეგი ღვინიაშვილის, კახა სხირტლაძის, მარიამ ბოჩიკაშვილის და თამუნა ხიმშიაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დააკმაყოფილდეს ლაშა კაპანაძის, თორნიკე ცივაძის, ნინო მზარეულიშვილის, თამარ გულხადარაშვილის, ნინო ერაძის, ზაზა შველიძის, მარიამ დურგლიშვილის, ნინო ქოჩიაშვილის, თეონა ლორიას, მეგი ღვინიაშვილის, კახა სხირტლაძის, მარიამ ბოჩიკაშვილის და თამუნა ხიმშიაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ნანა ფარჩუკაშვილის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ნასამართლობის შესახებ ცნობით (გაცემის თარიღი: 01.08.2022) ირკვევა, რომ იგი გასამართლებული იყო 2012 წლის 27 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სსკ-ის 180-ე მუხლის, მე-3 ნაწილის, „ბ“ ქვეპუნქტით. სსკ-ის 42-ე მუხლით დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით და იგი ძებნაში არ იმყოფება.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოთაღნიშნული მუხლი განეკუთვნება მძიმე დანაშაულის კატეგორიას. წარმოდგენილი ნასამართლობის შესახებ ცნობით არ დგინდება ნანა ფარჩუკაშვილის მიმართ ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების ფაქტი. შესაბამისად, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს ნანა ფარჩუკაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

თავმჯდომარემ მიმართა წევრებს წინადადებით აღნიშნული საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით, განმცხადებლის მიერ განზრახ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ნასამართლობის არქონის შესახებ დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენამდე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: ნანა ფარჩუკაშვილის განცხადების განხილვა გადაიდოს მის მიერ განზრახ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ნასამართლობის არქონის შესახებ დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენამდე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, შეჩერდეს ნანა ფარჩუკაშვილის განცხადების ვადის დინება დოკუმენტის წარმოდგენამდე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ნათელა ნაყოფიას, ნინო ბოლქვაძის, ავთანდილ თელიაშვილის, რევაზ გობრონიძის, მათა ლიპარტელიანის, ივანე ჩოგოვაძის, გვანცა ჩხაიძის, გვანცა შელიას, ნანა ბიბილურის, ჰატიჯე აიქალის, თამარ მერაბიშვილის, გიორგი მუკბანიანის, სანდრო სახვაძის, მარიამი ლიპარტელიანის, შოთა ვაჭარაძის, ნინო ტურაბელიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნათელა ნაყოფიას, ნინო ბოლქვაძის, ავთანდილ თელიაშვილის, რევაზ გობრონიძის, მათა ლიპარტელიანის, ივანე ჩოგოვაძის, გვანცა ჩხაიძის, გვანცა შელიას, ნანა ბიბილურის, ჰატიჯე აიქალის, თამარ მერაბიშვილის, გიორგი მუკბანიანის, სანდრო სახვაძის, მარიამი ლიპარტელიანის, შოთა ვაჭარაძის, ნინო ტურაბელიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) თამარ ჯაფარიძის განცხადებას ხელახალი გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ეთიკის კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული N 033/17 გადაწყვეტილების საფუძველზე, აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით, თამარ ჯაფარიძეს (სიითი N 4327) შეუწყდა ასოციაციის წევრობა.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, გაწევრიანებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი: „თუ მას შეწყვეტილი აქვს ასოციაციის წევრობა ამ კანონის 21³ მუხლის, პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და წევრობის შეწყვეტიდან არ გასულა 3 წელი“.

თამარ ჯაფარიძის მიმართ წევრობის შეწყვეტის შესახებ 2019 წლის 10 სექტემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან, ზემოთაღნიშნული 3 - წლიანი ვადა იწურება 2022 წლის 10 სექტემბერს. შესაბამისად, დღევანდელ სხდომაზე აღმასრულებელი საბჭო ვერ იმსჯელებს მისი ხელახლა გაწევრიანების შესახებ. თავმჯდომარემ მიმართა წევრებს საკითხის გადადების თაობაზე მომდევნო სხდომისთვის. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: თამარ ჯაფარიძის განცხადების განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ მაია დონაძის, იური პოვხის, თამარი მაჭარაშვილი, სოსო სონიშვილის და გიორგი მელიქიძის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მაია დონაძის, იური პოვხის, თამარი მაჭარაშვილის, სოსო სონიშვილის და გიორგი მელიქიძის განცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე.

საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ნათია კოტიას და მარიამ თაბაგარის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ნათია კოტიას და მარიამ თაბაგარის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 5. 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღების განსაზღვრა.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღებად 16,17, 22,23 ოქტომბრის და გასაჩივრების თარიღად 30 ოქტომბრის განსაზღვრის შესახებ.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად განისაზღვროს 2022 წლის 16,17, 22, 23 ოქტომბერი; ხოლო გასაჩივრების თარიღად 2022 წლის 30 ოქტომბერი.

საკითხი 6. გიორგი თოდაძის განცხადება სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

წევრები გაეცნენ გიორგი თოდაძის მ/წლის 25 აგვისტოს განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში გადიოდა სტაჟირების ნაწილს, თუმცა პირადი მიზეზებიდან გამომდინარე, სურდა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლა.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი თოდაძის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. ინეზა წოწონავას განცხადების განხილვა საწევრო შეღავათის გავრცელების შესახებ.

წევრები გაეცნენ ინეზა წოწონავას განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2018 წლიდან რეგისტრირებული იყო ინდივიდუალურ მეწარმედ მარტვილის რაიონში, სოფელ ინჩხურში, რომელიც წარმოადგენდა მის საცხოვრებელ და საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ადგილს. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ითხოვდა საწევრო გადასახადზე შეღავათის გავრცელებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ინეზა წოწონავას შეწყვეტილი ჰქონდა წევრობა 2022 წლის 31 მარტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო და ერიცხებოდა საწევრო დავალიანება 200 ლარის ოდენობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წელს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშეღავათო საწევროს კრიტერიუმების თანახმად, 50% იანი შეღავათი ვრცელდებოდა პირზე, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებდა რეგიონში. ინეზა წოწონავას მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტით დგინდებოდა, რომ იგი საქმიანობას ახორციელებდა მარტვილის რაიონში. შესაბამისად, ინეზა წოწონავა აკმაყოფილებდა 50% - იანი საშეღავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ინეზა წოწონავას განცხადება და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, გავრცელდეს 50%-იანი საწევრო შეღავათი. ასევე, აღნიშნული შეღავათი გავრცელდეს მის მიმართ არსებულ 2022 წლის საწევრო დავალიანებაზე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 8. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ირაკლი ბოლქვაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს ომში, არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი (დგინდება თანდართული დოკუმენტით) და ამავდროულად ცხოვრობდა მაღალმთიან რეგიონში. სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები და აღნიშნული გარემოებების საფუძველზე ითხოვდა 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისგან გათავისუფლებას.

(ბ) გედევან გელანტიას განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (დგინდება თანდართული დოკუმენტით) და აღნიშნული გარემოების საფუძველზე, ითხოვდა 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისგან გათავისუფლებას.

(გ) გულნარა ხორგუაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (დგინდება თანდართული დოკუმენტით) და აღნიშნული გარემოების საფუძველზე, ითხოვდა 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისგან გათავისუფლებას.

აღნიშნულ საკითხებზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- დაკმაყოფილდეს ირაკლი ბოლქვაძის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს;
- დაკმაყოფილდეს გედევან გელანტიას განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს;
- დაკმაყოფილდეს გულნარა ხორგუაშვილის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს;
- მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(დ) გიორგი ნანობაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში გადიოდა სტაჟირების ნაწილს, თუმცა, სამსახურის შეცვლის გამო დადგა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის საჭიროებაც. მან მომართა აღმასრულებელ საბჭოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის ცვლილებისა და სტაჟირების ნაწილს სხვა ხელმძღვანელ ადვოკატთან გაგრძელების მოთხოვნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი ნანობაშვილის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე